ელექტრონული კომერციის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

თორნიკე ჩონიაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (საბანკო და საფინანსო საქმე)

კვლევის ხელმძღვანელი: მაია მელიქიძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თორნიკე ჩონიაძე

2022 წელი

აბსტრაქტი

ინტერნეტისა და ტექნოლოგიების განვითარების შეუქცევად პროცესს თან ახლავს ადგილობრივი და საერთაშორისო ბიზნესის მასშტაბების ზრდა, რასაც მოჰყვება ახალი ბაზრების ათვისება, რაშიც დღესდღეობით ელექტრონული კომერცია უდიდეს როლს ასრულებს. იგი საქონლისა და მომსახურების ინტერნეტის გამოყენებით ყიდვა-გაყიდვას წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც დღესდღეობით თითქმის ყველაფრის შეძენა არის შესაძლებელი.

ნაშრომში განხილულია ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები, მისი არსი, მახასიათებლები, პრინციპები, მასთან დაკავშირებული გამოწვევები და შესაძლებლობები. დადებით და უარყოფით მხარეებთან ერთად განხილულია მის განვითარებაზე მოქმედი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ფაქტორები. ამასთან, შეფასებულია მსოფლიო პანდემიით გამოწვეული შედეგები, რამაც მომხმარებელთა ქცევა საგრძნობლად შეცვალა და მსოფლიოში ონლაინ ვაჭრობის წილი მთლიან გაყიდვებში მნიშვნელოვნად გაზარდა.

ნაშრომის ძირითად მიზანს საქართველოში ელექტრონული კომერციის განვითარების ტენდენციების შეფასება წარმოადგენს. ჩატარდა კვლევა, რომლის საფუძველზეც, სტატისტიკური და შედარებითი ანალიზის მეთოდების გამოყენებით შეფასდა საზოგადოების ელექტრონული კომერციისადმი დამოკიდებულება, რამაც მიმდინარე ტენდენციებთან დაკავშირებით გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ელექტრონული კომერცია, ინტერნეტი, ტექნოლოგიები, ონლაინ ვაჭრობა, ციფრული კომერცია.

Abstract

The irreversible process of development of the Internet and technology is accompanied by the growth of local and international business, followed by the emergence of new markets, in which e-commerce plays a major role today. Ecommerce is the buying and selling of goods and services using the internet. Almost anything can be purchased through e-commerce today.

The paper discusses the main issues related to e-commerce, its essence, characteristics, principles, challenges and opportunities. Along with the pros and cons, important macroeconomic factors affecting its development are discussed. At the same time, the effects of the global pandemic have been assessed, which has significantly changed consumer behavior and significantly increased the share of online commerce in the world in total sales.

The main purpose of this paper is to assess the development trends of e-commerce in Georgia. A study was conducted based on the methods of statistical and comparative analysis to assess the attitude of the public towards e-commerce, which allowed us to draw some conclusions about current trends.

Keywords: e-commerce, internet, technologies, online commerce, digital commerce.